ხაშურის მოამბე

№9 (431) 7 მარტი, ხუთშაბათი, 2024 წელი

თქვენს ცხოვრებაში შემოსულიყოს გაზაფხული, მზე, სილამაზე, სითბო და სიყვარული

ჩვენდა საამაყოდ შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ისტორიულად ყოველთვის დაფასებული იყო ქალის როლი საზოგადოებისადაქვეყნისგანვითარებაში.ძვირფასოქალბატონებო, უდიდესი პატივისცემით გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს, გისურვებთ ბედნიერებას, ოჯახურ სიმშვიდეს, ჯანმრთელობასა და წარმატებებს! თქვენს ცხოვრებაში შემოსულიყოს გაზაფხული, მზე, სილამაზე, სითბო და სიყვარული.

ზაალ (ზაზა) დუგლაძე,

ხაშურისა და ქარელის მაჟორიტარი დეპუტატი

ძვირფასო ქალბატონებო!

დიდი პატივისცემით გილოცავთ ქალთა საერთაშორისო დღეს-8 მარტს!

დღევანდელი დღე ქალთა ეკონომიკური, პოლიტიკური და სოციალური მიღწევების აღნიშვნის გლობალური დღესასწაულია. საზოგადოებისა და ქვეყნის განვითარებაში ქალის როლი ჩვენთან, ყოველთვის დაფასებული იყო. ჯერ კიდევ მე-20 საუკუნის დასაწყისში, როდესაც პოლიტიკურ პროცესებში და საზოგადოებრივ ცხოვრებაში ქალების ჩართულობა იშვიათობას წარმოადგენდა, საქართველოს დამოუკიდებელ რესპუბლიკას ჰყავდა პოლიტიკური პარტიისა და დამფუძნებელი კრების წევრი ქალები, რაც ძალიან საამაყოა.

დღეს ქალები აქტიურად და წარმატებულად მოღვაწეობენ სხვადასხვა მიმართულებით და მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვთ ქვეყნის მშენებლობაში.

ყველა ქალბატონს და განსაკუთრებით, ჩვენი მუნიციპალიტეტის ქალბატონებს, ვუსურვებ ჯანმრთელობას, ბედნიერებას და წინსვლას!

თენგიზ ჩიტიაშვილი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერი

გისურვებთ, რომ ყველა დედას და ქალს ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა და ცხოვრების ღირსეული პირობები

მარტი ქალთა ისტორიის თვეა. ორი მნიშვნელოვანი თარიღი არის შეხსენება იმ გრძელი გზისა, რომელიც მსოფლიომ და მათ შორის, საქართველომ განვლო გენდერული თანასწორობისა და ქალთა გაძლიერების მისაღწევად.

ქართველებს საამაყო გაცილებით მეტი გვაქვს. ქალები ოდითგან მნიშვნელოვან როლს ასრულებდნენ ქართული სახელმწიფოს ისტორიაში: გვყავდა ქალი მეფე, ქალი წმინდანები, სამშობლოს თავისუფლებისთვის და დამოუკიდებლობისთვის თავგანწირული ქალები და გმირების აღმზრდელი დედები.

ქალებმა საქართველოში ხმის მიცემის უფლება 1918 წელს მოიპოვეს და საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის, 1919-1920 წლების საკანონმდებლო ორგანოში ხუთი დეპუტატი ქალი გვყავდა.

1918 წელს დეპუტატის თანამდებობაზე არჩეული იყო მუსლიმი ქალი - ფარიხან (ფარი-ხანუმ) სოფიევა.

1917 წლიდან გამოიცემოდა გაზეთი - „ხმა ქართველი ქალისა“.

მარტი იმ ქალების თვეა, რომლებმაც ბევრი შეძლეს თანასწორორი უფლებებისათვის და დღესაც განაგრძობენ მოქმედებას სამყაროს უკეთესობისაკენ შესაცვლელად.

გილოცავთ დედის დღეს და 8 მარტს! გისურვებთ, რომ ყველა დედას და ქალს ჰქონდეს განვითარების შესაძლებლობა და ცხოვრების ღირსეული პირობები.

ნინო ლიპარტელიანი,

ხაშურის მუნიციპალიტეტის

საკრებულოს თავმჯდომარე

ბიჭია, ბიჭი!
გოგოა, გოგო!

ხაშურის ახლადგახსნილმა სამშობიარო განყოფილებამ პირველი პაციენტი მიიღო. 4 და 5 თებერვალს ორი პატარა ქართველი შეემატა ქვეყანას. ეგაძეების ოჯახს დაჩი გაულამაზებს ცხოვრებას, ეგნატაშვილების ოჯახს კი-ანაბელი.

ახალშობილები და მშობიარეები თავს შესანიშნავად გრძნობენ. ბავშვები სრულიად ჯანმრთელები არიან.

ვულოცავთ მათ ოჯახებს ამ ბედნიერებას.

იმრავლე, ერო!

კოლეჯი „ქართლი“ სულ ჩქარა პირველ მსმენელებს მიიღებს

1-ლ მარტს ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა - თენგიზ ჩიტიაშვილმა, ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს წარმომადგენლებთან ერთად, დაათვალიერა კოლეჯი `ქართლის~ ინფრასტრუქტურა: ადმინისტრაციის სამუშაო გარემო, თეორიული და პრაქტიკული სწავლების აუდიტორია-სახელოსნოები, სხვადასხვა მიზნობრივი სივრცეები.

ვიზიტის დროს კოლეჯის ხელმძღვანელმა - ხათუნა ლობჟანიძემ დამსწრე

საზოგადოებას წარუდგინა ინფორმაცია გაივლილ პერიოდში კოლეჯის ადმინისტრაციული გუნდის საქმიანობის შედეგების შესახებ, პროფესიული განათლების სისტემასა და კოლეჯში მიმდინარე პროცესებთან

დაკავშირებით, ასევე, 2024 წლის გეგმებისა და სტრატეგიული მიზნების შესახებ.

შეხვედრა-პრეზენტაციაზე მხარეებმა განიხილეს პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ადგილობრივი მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს საუკეთესო თანამშრომლობის გზები: სათანადო მხარდაჭერის შესაძლებლობები მიმდინარე წელს კოლეჯის გახსნისა და შემდგომი განვითარებისათვის, რამდენადაც, კოლეჯში დაგეგმილი ადგილობრივ შრომით ბაზარზე მოთხოვნადი პროფესიების სწავლება, კურსდამთავრებულთა დასაქმება-თვითდასაქმებისა და მეწარმეობის ხელშეწყობის პროგრამები მნიშვნელოვნად განაპირობებს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკურ პროგრესს.

ხაშურის მუნიციპალიტეტის წარმომადგენლებმა სოფელ ოსიაურში, 1921 წლის 4-6 მარტს გმირულად დაღუპული ჯარისკაცების ხსოვნას პატივი მიაგეს

საკრებულოს თავმჯდომარემ ნინო ლიპარტელიანმა, პირველმა მოადგილემ ლევან გამრეკელმა, სამანდატო, საპროცედურო და ეთიკის კომისიის თავმჯდომარემ მაკა დიდებულიძემ, მერის წარმომადგენელმა ვაჟა ენჯიბაძემ, მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახურის ხელმძღვანელთან, კონსტანტინე ფრუიძესთან და განყოფილების უფროსთან, გიორგი კერესელიძესთან ერთად მემორიალი გვირგვინით შეამკეს.

1921 წლის 4-6 მარტს ქართული არმიის მთვარსარდალ კვნიტაძის და გენერლების, მაზნიაშვილისა და სუმბათაშვილის მეთაურობით, წითელი არმიის წინააღმდეგ კონტრშეტევა განხორციელდა. ხაშურში განთავსებული იყო მთავარსარდლის შტაბი და მათი დაცვა ევალებოდათ იუნკერთა სასწავლებლის კურსანტებს. ოსიაურთან შეტაკებისას 120 ქართველი ჯარისკაცი დაიღუპა.

სურამის ძველი კინოთეატრის შენობა ახალ სიცოცხლეს დაიწყებს

ძვირფასო სურამელებო, სურამის მეგობრებო და ერთგულო გულშემატკივრებო!

დიდი სიხარულით გიზიარებთ სასიამოვნო სიახლეს.

როგორც მოგეხსენებათ, სურამში კინოთეატრი ძალიან დიდი ხანია არ ფუნქციონირებს. ბოლო პერიოდში მუნიციპალიტეტმა განსაკუთრებული ძალისხმევა მიმართა კინოთეატრის შენობის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში გადმოსაცემად. მუნიციპალიტეტის მერის თენგიზ ჩიტიაშვილის, მუნიციპალური სამსახურების და განსაკუთრებით ქარელისა და ხაშურის მაჟორიტარი დეპუტატის - ზაზა დუგლაძის გამუდმებული მცდელობა წარმატებული აღმოჩნდა. შენობა უკვე მუნიციპალიტეტის საკუთრებაშია.

მუნიციპალიტეტი კინოთეატრის შენობის სრულ რეაბილიტაციას გეგმავს, რეაბილიტირებული შენობა სამუსიკო სკოლას და სურამის ბიბლიოთეკას გააერთიანებს. აქვე გადავა სურამის ადმინისტრაციულ ერთეულში მერის წარმომადგენლის ოფისიც.

მოცემულ ფოტოებსა და ვიდეოში სწორედ რეაბილიტირებული შენობის რენდერს ხედავთ.

განახლებული შენობა ჩვენი საყვარელი სურამის ცენტრს ახალ ხიბლსა და სიცოცხლეს შემატებს. აღსანიშნავია, რომ მისი დიზაინის მომზადებაში უშუალოდ იყო ჩართული მუნიციპალიტეტის მერი თენგიზ ჩიტიაშვილი.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს პროექტირების სამუშაოები, რომლის დასრულების შემდეგაც მუნიციპალიტეტი შენობის რეაბილიტაციისთვის ტენდერს გამოაცხადებს.

მუნიციპალიტეტის მერია

ტოპონიმებში გაცოცხლებული ისტორიები

(გაგრძელება. დასაწყისი იხ. „ხმ“ 2023წ.#42, #43 2024წ.#2,#3,#4,5,6,7,8)

სოფელი უწლევი

ბიწაძის მამული - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

გამოღმა უბანი - ადგ; უბანი სოფლის დასავლეთ ნაწილში, სათიხეულას წყაროს მარჯვენა მხარეს.

გაღმა უბანი - უბანი სოფლის აღმოსავლეთ ნაწილშ, სათიხეულას წყაროს მარცხენა მხარეს.

გორგაძეახო - ადგ., სახნავი, საძოვარი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს.

დათვის ღელე - ადგ., ღელე, გორა.

დამპალა - ადგ; მინდორი დასალეთის მხარეს. ,,პატარ-პატარა წყლები გამოჟონავს“.

დევის ნაფეხური - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს, სოფლის შესასვლელში, ფურნეების ღელის მარცხენა სანაპიროზე. ,,დიდ ლოდს ატყვია კაცის ფეხის ანაბეჭდი“, ,,დევი გადამხტარა ღელის ერთი ნაპირიდან მეორეზე. იქ ქვაზე ნაფეხურ დატყობია“.

ეკლესიის ჭალა _ ადგ., ჭალა, საძოვარი აღმოსავლეთის მხარეს.

ველების წყარო - ადგ., წყარო, მინდორი დასავლეთის მხარეს.

კაპრები - ადგ., მინდორი დასავლეთის მხარეს. (ბევრი ჯონჯოლია. ჯონჯოლს აქვს კაპრი- თესლი). კაპრების წყარო – წყარო დასავლეთის მხარეს. კლდისთავი – ადგ., გორა, მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო, გარშემო სულ კლდეებია“.

კოკის ყურის წყარო - წყარო.

ლაჩინას მამული - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

ლეკის გზა - ადგ; გზა სამხრეთის მხარეს. ,,სულ ლეკის გზას ეძახიან, ადრე ყოფილა ლეკიანობა და აქედან შემოდიოდნენ“.

მიხეილის ახო - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ახლა მინდორია. შუბითიძე იყო, მიხეილი რქმევია“.

მურყნების ღელე - ადგ., ღელე, ერთვის უწლეურას მარცხნიდან.

ნადოლაბარი – ადგილი

ნავენახარი - ადგ., ტყე აღმოსავლეთის მხარეს. ,,ჩვენი ეკლესია, რომ არის, იმის გარშემო ვენახი ყოფილა, ახლა ტყეა“.

ნარუჯის უღელტეხილი - ადგ., ტყე, მთა, სათესი დასავლეთის მხარეს. ,,ტყეს გასჩენია ცეცხლი ადრე და ეძახდნენ ნარუჯს. უწლეულას სათავეშია“.

ნაძვები - ადგ., საძოვარი ჩრდილოეთის მხარეს.

ნიკას ახო - ადგ., საძოვარი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. ,,ადრე სახნავი იყო“. სათიხეულის წყარო//სათიხის ღელე - ადგ., ღელე, ჩამოედინება სოფელში ჩრდილოეთის მხრიდან, უერთდება უწლეულას, იგივე ფურნეების ღელეს. სოფელს ყოფს ორ ნაწილად. ,,თიხიანი ადგილებია”.

სტრაჟნიკების ღელე - ღელე დასავლეთის მხარეს. ,,მენშევიკები რომ იყვნენ და შემოვიდნენ ბოლშევიკები, წაუყვანიათ სამი მენშევიკი და იქ დაუხრჩვიათ“.

ტეტიას წყარო - ადგ; წყარო დასავლეთის მხარეს. ,,ტაბატაძე იყო“.

უწლევის ტყე - ადგ., ტყე.

უწლევის ციხე - ადგ., ციხე, იგივეა რაც ალის ციხე.

უწლეულა - მდინარე ჩამედინება სოფელში. იგივეა რაც ფურნეების ღელე.

უწლეულას ხეობა - ადგ., ხეობა, სადაც ჩამოედინება მდ. უწლეულა.

ფურნეები - ადგ., ნასოფლარი, ტყე, მინდორი დასავლეთის მხარეს. ,,სულ ადრე აქ ფურნეები ყოფილა. 500 მეკომური ყოფილა. ლომიძეები სახლეულან იქა ადრე”. ფურნეების ღელე – ღელე, იგივეა რაც უწლეულა. ,,სტრაჟნიკების ღელესაგან იღებს სათავეს. ერთვის მდ. ჭერათხეულას, მოედინება სოფელში”.

შიოპაპიძის მამული - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

ცინოს ახო - ადგ., სახნავი სამხრეთის მხარეს. ,,ახლა მინდორია, ადრე სახნავი იყო. ცინო ტაბატაძე ყოფილა“.

ხარშილაძე ოთის მამული - ადგილი; დაფიქსირებულია ბეგთაბეგიშვილების 1753 წლის გაყრის საბუთში.

სოფელი ქინძათი

ალის თავქვე - ადგ., გზა დაღმართი დასავლეთის მხარეს.

არსენას სავალდებულო - ადგ., სახნავი ჩრდილოეთის მხარეს.

აქეთ უბანი - ადგ; უბანი ქვედა უბანში, იქით უბნისაგან გამოყოფილია ბოგირით.

ბაკანაღელე – ღელე ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ბასეინები - ადგილი სამხრეთის მხარეს.

ბაღები - ადგ., სოფლის ცენტრში, ზედა უბანსა და ქვედა უბანს შორის.

ბლიაძეები - ადგ; ადგილი, ვენახი, ნასოფლარი. ,,ვენახია გაშენებული, პატარა სოფელი იყო“.

ბოგირი - ადგილი ქვედა უბანი

გიგუანთი – უბანი.

გოგილაურის წყარო - ადგ., წყარო.

გელაშვილების უბანი - უბანი სოფლის ჩრდილოეთ ნაწილში, ეკლესიის უკან, წყალგაღმა.

გელაშვილების წყარო - ადგ; წყარო იგივე რაც ქვედაუბნის წყარო.

დიდახოები - ადგ., სათესი.

დიდი მიწები//დიდმიწების ადგილი - ადგ., სახნავი, სათესი სამხრეთის მხარეს.

ზედა ვენახი - ადგ., ვენახი. დაფიქსირებულია ბარბაქაძეების 1948 წლის 10 ივნისის გაყრის განაჩენში .

ზედაუბანი - ადგ; უბანი

იქითუბანი - ადგ; უბანი ქვედაუბანში. აქეთ უნისაგან გამოყოფილია ბოგირით.

კალოს ფარდი - ადგილი, დაფიქსირებულია ქიტიაშვილების 1949 წლის 17 მარტის გაყრის განაჩენში .

კორომტყე - ადგილი სამხრეთის მხარეს. (კორომი იყო, ახლა გაჩეხილია).

კრაჭანას ვენახი - ადგ., ვენახი დასავლეთის მხარეს.

ლიმონიას თავქვე - ადგ., დაღმართი სოფელში.

მცხეთიჯვრის დაღმართი - ადგ; ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ნასახლარები - ადგილი ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს

პინო - ადგ., ვენახი დასავლეთის მხარეს.

რუბენას წყარო - ადგ; წყარო ქვედაუბანში. ,,რუბენ ქიტიაშვილმა ააშენა 80-იან წლეში, ახალი გაკეთებულია“.

სამყვერალო - ადგ., ნასოფლარი, სახნავი, სათესი ჩრდილო-აღმოსავლეთ მხარეს. ,,აქ ტყე იყო, ირმები ჩამოდიოდნენ და ყვიროდნენ“.

სამყვირალოს ფერდები - ადგილი.

სასწორები - ადგილი დასავლეთის მხარეს.

საყარი - ადგილი ჩრდილოეთის მხარეს. ,,ნახირის მოსაგვარებელი ადგილია“.

ფერშოს სავალდებულო - ადგილი დასავლეთის მხარეს.

ფშატები - ადგ., ღელე დასავლეთის მხარეს.

ქვედა ვენახი – ადგ., ვენახი. დაფიქსირებულია ბარბაქაძეების 1948 წლის 10 ივნისის გაყრის განაჩენში.

ქვედა უბანი - ადგ; უბანი.

ქიტიაანთწყარო//ქიტიაშვილების წყარო - ადგ; წყარო.

ქოჩორაულები - ადგ., ვენახი ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ღელეები - ადგ., დასავლეთის მხარეს ალის თავქვეს დაყოლებით. შანსლა - ადგ., ვენახი აღმოსავლეთის მხარეს.

შიმშილას ნაკვეთი - ადგ., სათესი. დაფიქსირებულია ბარბაქაძეების 1948 წლის 10 ივნისის გაყრის განაჩენში.

შიმშილეები - ადგილი აღმოსავლეთის მხარეს.

ჩინური – ადგ., ვენახი დასავლეთის მხარეს.

ძელმიწები – ადგ., სათესი.

ძველშავი – ადგ., ვენახი სამხრეთის მხარეს. იგივე რაც დიდვენახი.

ჭაობის ფართი - ადგილი. დაფიქსირებულია ქიტიაშვილების 1945 წლის 17 მარტის გაყრის განაჩენში.

ჭინჭარაულები - ადგ., ვენახი. ჯანუაურები - ადგ., ვენახი.

ჯირკნალი - ადგ., სათესი.

ნასოფლარი ჭ ო შ ო რ ა

ანდრიას ნამოსახლარი - ადგ; სახნავი ზედა ჭოშორაში აღმოსავლეთის მხარეს.

ახოები - ადგ; სახნავი ზედა და ქვედა ჭოშორაში ჩრდილო-აღმოსავლეთის მხარეს. ,,აქ მწირი მიწები იყო“.

ბატონკას ჭალა - ადგ., მინდორი ქვედა ჭოშორაში სამხრეთის მხარეს. ,,ბატონკას ვინმე ალელს ეძახდნენ, მას ეკუთვნოდა“.

ბაღის ბოლოები - ადგ., სახნავი ქვედა ჭოშორაში აღმოსავლეთის მხარეს.

დიდი ვაკე - ადგ., იხ. ვაკეები.

დიდმინდვრები - ადგ., სახნავი ზედა ჭოშორაში დასავლეთის მხარეს.

დიდღელე – ადგ., ღელე ზედა ჭოშორაში. იგივე ჭოშორის წყალი, უერთდება ჭერათხევს მარჯვენა მხრიდან.

დიდღელის წყარო - ადგ., წყარო ზედა ჭოშორაში.

ვანიას წყარო - ადგ., წყარო ქვედა ჭოშორაში. ,,დღესაც არის ეს წყარო. ვანია ხარაიშვილის გვარის იყო“.

ვაკეები - ადგ., სახნავი ზედა ჭოშორაში აღმოსავლეთის მხარეს.

ზაქარას ნაწისქვილარი - ადგ., ნაწისქვილარი ზედა ჭოშორაში. ,,ზაქარია ხარაიშვილის იყო ეს წისქვილი“.

ზედა ჭოშორა - ადგ., ნასოფლარი.

თანდილას წყარო – ადგ., წყარო ზედა ჭოშორაში. ,,ყველაზე ცივი წყარო იყო“.

ილიას ნაწისქვილარი - ადგ., ნაწისქვილარი ზედა ჭოშორაში. ,,ილია ფოფხაძეს ეკუთვნოდა“.

კალოები - ადგ., ნაკალოვარი ზედა ჭოშორაში ჩრდილო-დასავლეთის მხარეს.

ნასაჩეხრები - ადგ., სახნავი ქვედა ჭოშორაში ჩრდილოეთის მხარეს.

ორგზა - ადგ., გზაგასაყარი ზედა ჭოშორაში. ,,ერთი გზა მიდიოდა ქვედა ჭოშორაში, მეორე ზედა ჭოშორაში, მესამე დასავლეთით“.

პარმენას ყანა - ადგ., სახნავი ზედა ჭოშორაში ჩრდილო-დასავლეთის მხარეს. პატარა ვაკე – ადგ; იხ. ვაკეები.

როსიას ახო _ ადგ; სახნავი ზედა ჭოშორაში, ჩრდილოეთის მხარეს. ,,ამბროსი ფოფხაძეს გაეჩეხა ტყე და მას მოეწყო ახო“.

როსიას ნაწისქვილარი - ადგ., ნაწისქვილარი ზედა ჭოშორაში. ,,ამბროსი ფოფხაძეს ეუთვნოდა“.

რევაზას ნამოსახლარი - ადგ., ტყე ზედა ჭოშორაში. ჩრდილოეთის მხარეს. ესაზღვრება ლომისებს.

სანახშირე – ადგ., ტყე ზედა ჭოშორაში სამხრეთ-დასავლეთის მხარეს. ,,ალბათ აქ ნახშირს ამზადებდნენ“.

ტბები - ადგ., საძოვარი, მინდორი ზედა ჭოშორაში დასავლეთის მხარეს. ,,ჭაობიანი ადგილია, ერთი ტბა იყო, შრებოდა ხოლმე“.

ფანჩვიძეების მიწები - ადგ., სახნავი ზედა ჭოშორაში ჩრდილოეთის მხარეს. ,,რევაზის ნამოსახლარის მიმდებარედ იყო, ფანჩვიძე მელიტონი იყო“.

ქვედა ჭალა - ადგ., სახნავი ქვედა ჭოშორაში აღმოსავლეთის მხარეს.

ქვედა ჭოშორა - ადგ., ნასოფლარი.

ცივი - ადგ., საძოვარი ზედა ჭოშორაში ჩრდილოეთის მხარეს. ,,მზე არ უდგება, ჩრდილოეთის ფერდობია, ამიტომ ეძახოდნენ ცივს. ჩვენ ვიყენებდით, ეკუთვნოდა ლაშვანთხევს“ .

წისქვილები - ადგ., ნაწისქვილარები ზედა ჭოშორაში. ,,აქ წისქვილები იდგა“.

ჭოშორის წყალი - ღელე, იხ. დიდღელე.

ჯვარი - ადგ., ტყე, გზა, გზაჯვარედინი ზედა ჭოშორაში.

თამაზ ლაცაბიძე

(გაგრძელება იქნება)

ცოცხნარელთა მრავალშვილიანი ოჯახები

ეს წერილი მიზნად არ ისახავს დემოგრაფიული მონაცემების მიმოხილვას, ერთს კი ვიტყვი, რომ ჩემი მოწაფეობის პერიოდში, აზერბაიჯანის მოსახლეობა შეადგენდა სამ მილიონზე ნაკლებს, ხოლო საქართველოსი სამ მილიონზე მეტს. დღეისათვის კი აზერბაიჯანის მოსახლეობა მეთორმეტე მილიონში გადავიდა, საქართველოსი კი ოთხი მილიონის ფარგლებშია.

ამ წერილის დაწერა მიკარნახა იმ უჩვეულო სიჩუმემ, რომელმაც დაისადგურა სოფლებში. ბევრგან აღარ ისმის ბავშვთა ჟრიამული. ბევრი მათგანი დაკავებულია ტელევიზორისა და ტელეფონების ყურებით, სკოლებში კი იმდენი ბავშვია, რამდენიც ჩემი მოწაფეობის დროს ერთ კლასში იმყოფებოდა.

ვიხსენებ ჩემი ბავშვობის წლებს, როცა მიუხედავად დიდი ეკონომიკური გაჭირვებისა, სოფლად ბევრი იყო მრავალშვილიანი ოჯახი. ჩემი სუბიექტური შეხედულებით, მრავალშვილიან ოჯახად ვთვლი, სადაც იზრდება ხუთი და მეტი შვილი.

მინდა, წარმოგიდგინოთ სოფელ ცოცხნარაში მცხოვრები მრავალშვილიანი ოჯახები. მართალია მოხსენებულ პირთა შორის ბევრი ცოცხალი აღარ არის, მაგრამ ვალდებული ვართ, მათი ხსოვნა უკვდავყოთ. უცნაურად არავის მოეჩვენოს, რომ პიროვნებებს ვიხსენებ იმ სახელებით, რომლითაც იცნობდა და მიმართავდა მათ სოფელი. უძვირფასესი საგანძური დაუტოვეს

სამშობლოს, რომელთა შთამომავლობაზე დგას ჩვენი ქვეყნის სიძლიერე.

მეამაყება ჩემი სოფლის ოჯახთა მრავალშვილიანობა, რომელთა შორის არიან:

მიხაკო და ოლღა გოგალაძეები, რომლებმაც აღზარდეს 9 შვილი: დიმიტრი, ლევანი, თინა, თენგიზი, უშანგი, ელგუჯა, გურამი, მერიკო, სერგო.

დათიკო და ნინა გოგალაძეების ოჯახი, 8 შვილი: გოგია, ოთარი, ციალა, ანზორი, ზაური, ელენე, ნაირა, ჟენია.

გიგა და მარო ლომიძეების ოჯახი - 7 შვილი: ბაგრატი, მიშა, ავთანდილი, ჯემალი, ქრისტინე, ეთერი, ვენერა.

ვანო და სონია გოგალაძეების ოჯახი - 7 შვილი: ვასო, შალვა, გრიგოლი, ალექსი, დათიკო, ანიჩკა, ფეფუცა.

გიორგი და ქსენია გოგალაძეების ოჯახი - 6 შვილი: ზოია, გულნაზი, რამაზი, თინა, თამრიკო, ცეზარი.

ნიკოლოზ და სირანა გოგალაძეების ოჯახი, 6 შვილი: ნაზი, ლილი, დალი, სონია, მზია, ჯუმბერი.

გიგო და სოფო გიგაშვილების ოჯახი, 6 შვილი: შაქრო, კოწია, ვიგენტი, ამალია, მანია, ჯემალი.

დურმიშხან და შურა გელაშვილების ოჯახი, 6 შვილი: ტარიელი, ავთანდილი, დავითი, ალექსი, ირმა, ირა.

დათიკო და პელო გელაშვილების ოჯახი. 6 შვილი: თამარა, ქსენია, ქეთო, გიორგი, ეთერი, ნინა.

სინო და მაშო ტაბატაძეების ოჯახი, 6 შვილი: ანეტა, მათიკო, ბაბუცა, დარო, ალექსი, მატრონა.

პართე და დარო გოგალაძეების ოჯახი, 6 შვილი: მერიკო, ანზორი, თამარი, ირა, ნიკო, იზა.

სოლო და ბაბუცა გოგალაძეების ოჯახი, 6 შვილი: ნოვე, ნელი, ნიკლო, ნათელა, ლალი, მაგლო.

გაბო და ანა გოგალაძეების ოჯახი, 6 შვილი: ვანიჩკა, ნიკალა, გიორგი, ვერია, კატუშა, იასონი.

ცეზარი და ნაზი გრიგალაშვილების ოჯახი, 5 შვილი: შოთა, ანა, თეა, ნათია, ელგუჯა.

როინი და ნატო გიგაშვილების ოჯახი, 5 შვილი: გიორგი, რაგული, ნათია, ციცო, მზია.

რამაზი და მარინა გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: ინგა, ირინა, თაკო, ფიქრია, ნათია.

ჟორა და ქეთო გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: ზაზიკო, ზეინაბი, მევლუდი, ზოია, ავთო.

გიორგი და თენო გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: ვალიკო, ოლია, ჯუმბერი, მიტო, მიშიკო.

მოსე და შურა გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: მედიკო, სეირანი, კაკო, ლეილა, იურა.

ნიკალა და ანიჩკა გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: ელენე, გივი, ამირანი, მევლუდი, ნათელა.

ამბროსი და მაშო გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: გიგუცა, ირაკლი, კოწია, ბორია, ქეთევანი.

სიმონი და ქსენია ლომიძეების ოჯახი, 5 შვილი: მალიუზა, ინეზა, მანანა, ზაირა, მაკა.

გიორგი და თამარა გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: ბორისი, ბუხუტი, ნოდარი, ბადური, მაგული.

ანეტა და არჩილ გრიგალაშვილების ოჯახი, 5 შვილი: შოთა, დიმიტრი, ვერა, ქეთო, გულისა.

ლევანი და თინა გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: ალიოშა, ამირანი, თამაზი, ეთერი, მარო.

სერგო და არფენიკა გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: პალიკო, გივი, შუშანა, მერი, ანიკო.

გიორგი და მარო გოგალაძეების ოჯახი, რომლებმაც აღზარდეს 5 შვილი: ალექსი, ივანე, ჟუჟუნა, ლეილა, ჯუბიკო.

მიხა და აღათო გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი: მოსე, ვასილი, გოგია, ლიზა, მარუსა.

ვლადიმერ და ლუბა გოგალაძეების ოჯახი, 5 შვილი:ნარგიზა, ნუნუ, გივი, ნანი, ცირა.

მადლობას მოვახსენებ ციური დავითის ასულ გოგალაძეს მრავალშვილიანთა ოჯახების შესახებ გარკვეული ინფორმაციის მოწოდებისათვის.

სასურველი იქნება ყველა სოფელმა შემოინახოს მრავალშვილიან ოჯახთა ხსოვნა და მათ მიმართ პატივისცემა.

ბოდიშს მოვიხდი მათ წინაშე, ვისი ხსოვნაც არ შემორჩა ჩემს მეხსიერებას.

რევაზ გრიგალაშვილი,
სოფელ ცოცხნარა

მოქალაქეთა საყურადღებოდ!

სურამში, ზინდისის უბანში, გურამიშვილის ქუჩის მიმდებარედ ჩატარებული გეოლოგიური კვლევის შედეგები ცნობილია.



კვლევის შედეგად შემუშავებული რეკომენდაციების თანახმად, ძალაში დარჩა ტერიტორიის პირველადი დათვალიერებისას მიღებული გადაწყვეტილება, რომლის შესაბამისად, ცხრა ოჯახისთვის საცხოვრებელი სახლით სარგებლობა არ არის რეკომენდებული. ამასთან, დამატებითმა კვლევამ გამოავლინა კიდევ ორი ოჯახი, რომელთაც საცხოვრებელი სახლით სარგებლობა არ შეუძლიათ.

მუნიციპალიტეტმა უზრუნველყო თერთმეტივე ოჯახის ოფიციალური ინფორმირება მოსალოდნელი რისკების შესახებ. ამასთან, ოჯახებმა ქირით გადაყვანის შეთავაზებაც მიიღეს.

გეოლოგიური დასკვნის შესაბამისად, რეკომენდებულია ტერიტორიის გაწმენდა ნაშალი ქანებისგან. ამ მიზნით ა(ა)იპ "ხაშურსერვისმა" დაიწყო და უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს გაწმენდითი სამუშაოები.

დასკვნის მიხედვით, ამ ეტაპზე სხვა სახის საფრთხე ან რისკი არ არის გამოვლენილი.

მუნიციპალიტეტი ყურადღებით აკვირდება მიმდინარე სამუშაოებს, მუდმივ კომუნიკაციაშია გეოლოგიურ სამსახურთან და განაგრძობს მოსახლეობის ინფორმირებას საჭიროებიდან გამომდინარე.

გზის რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს

ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფლების დუმაცხოვის, ახალუბნისა და ქინძათის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია აქტიურ რეჟიმში მიმდინარეობს. ამ ეტაპზე ასფალტის პირველი ფენის დაგების სამუშაოები ხორციელდება. ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა და ინფრასტრუქტურის განვითარების სამსახურის ხელმძღვანელმა გიორგი პაპიაშვილმა პროექტის მიმდინარეობა დაათვალიერეს.

სამშენებლო სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი ფონდისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით მიმდინარეობს. ჯამში, დაგეგმილია 2 კმ-მდე გზის მოწყობა, რაზეც 1 მილიონ ლარზე მეტია გათვალისწინებული.

„ორი სოფლის დამაკავშირებელ გზაზე ახალაშენებული სკოლაც მდებარეობს და გზის მოწესრიგება მნიშვნელოვნად გაუუმჯობესებს გადაადგილების პირობებს სკოლის მოსწავლეებს, პედაგოგებს და აქ დასაქმებულ პერსონალს, ასევე ადგილობრივ მოსახლეობას. ამასთან, მიმდინარე წელსვე მოეწყობა სოფელ უწლევში მისასვლელი ბეტონის გზა, რაც იმას ნიშნავს, რომ ჭერათხევის ხეობაში ყველა სოფელს რეაბილიტირებული მისასვლელი გზა ექნება," - განაცხადა თენგიზ ჩიტიაშვილმა.

„მომავლის სახლისა“ და „დღის მოვლის ცენტრის“ ააღმზრდელებთან მომუშავე პერსონალს 3 მარტი - დედის დღე მიულოცეს

ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა, საკრებულოს თავმჯდომარე ნინო ლიპარტელიანმა და კულტურისა და სპორტის სამსახურის წარმომადგენლებმა, „მომავლის სახლისა“ და „დღის მოვლის ცენტრის“ აღსაზრდელებთან მომუშავე პერსონალს, 3 მარტი- დედის დღე, ყვავილებით და ტკბილეულით მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელმა პირებმა ისაუბრეს მათ დიდ შრომაზე, შშმ პირების საზოგადოებაში ინტეგრირებისა და მათზე მუდმივად ზრუნვის საკითხებში და თავის მხრივ, თანადგომა აღუთქვეს, ყველა მიმართულებით.

ხაშურის მუნიციპალიტეტში, დედის დღესთან დაკავშირებული ღონისძიებების ორგანიზატორია მერიის განათლების, კულტურისა და სპორტის სამსახური.

ზოგი რამ ქურდების შესახებ

ქურდობა სხვისი ქონების ფარული მითვისებაა. იგი გაჩნდა კერძო საკუთრების წარმოშობასთან ერთად. მისი მასაზრდოებელი წყარო ქონების არათანასწორი განაწილებაა. მდიდარ კაცს შეუძლია მიირთვას ნუგბარ-ნუგბარი საჭმელები, აიშენოს ბრწყინვალე სასახლე ქალაქშიც და კურორტზეც, მოაწყოს ფრანგული ავეჯით. იყიდოს ძვირადღირებული მანქანები, „მერსედესი„ ან „როლს-როისი“ შვილებისათვის. გაგზავნოს ისინი სასწავლებლად ჰარვარდში, ან ოქსფორდში. დაუნათესავდეს თავისთანა მდიდარს, შვილი მოაწყოს დიდ თანამდებობაზე...

ღარიბი ყოველივე ამას მოკლებულია, ლუკმა-პური უჭირს. შვილს, რაც არ უნდა ნიჭიერი ჰყავდეს, ჰარვარდში ვერ გაგზავნის. საკუთარი თვალით ხედავს უცნაურ უთანასწორობას, რასაც მეტი ან ნაკლები ფულის კუპიური წარმოშობს. ეს ყოველივე, ზოგიერთ მათგანს ქურდობისაკენ უბიძგებს.

სახელმწიფოს ერთ-ერთი ფუნქცია ქურდობის წინააღმდეგ ბრძოლაა. ებრძვის მათ მისი წარმოშობისთანავე. ასე იყო ყველგან, მათ შორის საქართველოშიც. შუა საუკუნეებში ქურდობის წინააღმდეგ მოქმედებდა სამპარავსამართალი. იგი სპეციალურად იყო შექმნილი მპარაობის წინააღმდეგ. XVI საუკუნიდან მას მეკობრეთ მაძიებელი სასამართლო ეწოდა, შემდეგ კი ვახტანგ VI „დასტურლამალის“ (არაბულ-სპარსული სამართლის მიხედვით) „ხევისთავის სასამართლო“ შემოიღო, რომელსაც ევალებოდა დამნაშავის ძებნა და საქმის წარმოების ძიება. აგრეთვე, საქმის გარჩევა და დამნაშავის გასამართლება. სამპარავსამართლის ძირითადი მოხელე იყო მპარავთმაძიებელი, გვიან-მეკობრეთმაძიებელი და ქურდის მძებნელი-ხევისთავი. მას სხვა, მეფისგან „ჩენილი“ მოხელეები ემსახურებოდნენ. მათი მოვალეობა იყო დამნაშავის ძებნა, მისი დაპატიმრება და განაჩენის სისრულეში მოყვანა. სასჯელის ზომა ჩამოხრჩობა და დასახიჩრება. ნაპარავს პატრონს უბრუნებდნენ. გათვალისწინებული იყო ჯარიმაც - ნაპარავის შვიდმაგად ანაზღაურებით - ე.წ.“შვიდეული“. საპატიო კაცის ან აზნაურიშვილის გაქურდვის შემთხვევაში, შვიდკეცი საზღაური მთლიანად გაქურდულს ეძლეოდა. გლეხს „ქურდის საზღაურიდან“ ორი წილი მიეცემოდა, დანარჩენი მეფეს ან სათანადო მოხელეს. თუ ქურდი გატყდებოდა და ბოდიშს მოიხდიდა, (დღევანდელი თანამშრომლობა ძიებასთან) მას შვიდგზის ნაცვლად ოთხმაგს გადაახდევინებდნენ.

ქურდობის წარმოშობას სიღარიბე უწყობს ხელს, რაც უფრო ღარიბია ქვეყანა, მით უფრო მეტი სამართალდამრღვევია. თამარ მეფის დროს იმდენი სიმდიდრე დაგროვდა, რომ მემატიანენი აღტაცებით წერდნენ ქურდობა აღარ იყოვო, მიუთითებენ ზოგიერთ ეთნიკურ ჯგუფებზე, ისინიც კი აღარ ქურდობდნენო.

ბურჟუაზიულ ქვეყნებში, სადაც კონსტიტუციით საკუთრება წმინდათა წმინდად და ხელშეუხებლად ითვლებოდა, ქურდების წინააღმდეგ უმკაცრესი კანონები და სასჯელი ბატონობდა: სიკვდილით დასჯა, კატორღა მძიმე პირობებით. რუსეთშიც იგივე იყო. ოღონდ ციმბირში გადასახლება. აქვე, რუსეთის იმპერიაში წარმოიშვა „კანონიერი ქურდის“ცნება. ისინი ქმნიან გაერთიანებებს (ვუწოდოთ მას „ქურდების ამქარი“) და აწესებენ ქურდულ კანონებს. ქურდი რომ გამხდარიყავი, გარკვეული დამსახურება იყო საჭირო. შემდეგ აკურთხებდნენ კანონიერ ქურდად. (ისე, როგორც უსტაბაში აკურთხებდა შეგირდს ოსტატად). ქურდების ამქარში შესულს მკაცრად უნდა დაეცვა ქურდული კანონები: არ უნდა ემუშავა, ეზრუნა სალაროს შევსებისათვის, დახმარებოდა დაზარალებულ ქურდის ოჯახს. პატიოსან შრომას ვერ დაუბრუნდებოდა, ქურდად უნდა მომკვდარიყო.

ქურდების შესახებ იქმნებოდა ლეგენდები. სახავდნენ მისაბაძ ადამიანებად, თითქოს ისინი, ღრმად განათლებულები იყვნენ, სადარი, საქმეებს არჩევინებდნენ. ამ შეხედულებებს ხელს უწყობდნენ მწერლები, პოეტები, მასმედია, იღებდნენ ფილმებს, რომანტიკულ საბურველში ახვევდნენ. (ბალზაკი, შექსპირი, დიკენსი...)“დღიური სილამაზის მძარცველები“, „დიანას მეტყეველები“, „სიბნელის რაინდები“, „მთვარის საყვარელი ბიჭები“ (შექსპირი).

ლიტერატურულ გმირებს შორის მეტად პოპულარული მისაბაძი სახეა ვოტრენი. მან მშვენივრად იცის ისტორია, წაუკითხავს მაკიაველი. სამი საკატორღო ციხის ბანკირია. მათგან ღებულობს თანხებს და განაგებს მას. იგი მაღალი თანრიგის ქურდების ნდობით სარგებლობს, განაგებს სალაროს („ობშჩიაკს“) უზარმაზარი თანხით.

სხვათა შორის, ფრანგი კრიტიკოსი ანდრე მორუა, „ლიტერატურულ პორტრეტებში წერს „ბალზაკმა ეს გმირი მრავალი საკუთარი თვისებებით აღჭურვა. მის მიმართ სიმპათიით არის გამსჭვალული, ნაწილობრივ იმიტომ, რომ შურს მისი სიძლიერე, მას შეუძლია ერთგულების და მეგობრების დაცვა. ამ გმირმა ომი გამოუცხადა საზოგადოებას და ისეთნაირად წარმართავს ამ ომს, არავითარ საშუალებას არ ერიდება“.

აი, რას ათქმევინებს ბალზაკი ვოტრენს: „ ჩვენ მგლის მადა და დალესილი კიჭები გვაქვს, კუჭი რით ამოვიყოროთ, უპირველეს ყოვლისა კანონთა კრებული უნდა მოვინელოთ.“ ადამიანებს ნახირს უწოდებს და აცხადებს, - „ამ ნახირში ყოველ ერთ მილიონ პირუტყვში ათიოდე მარჯვე ბიჭი თუ მოიძებნება, რომლებიც თავს კანონზე მაღლა აყენებენ.“ („მამა გორიო“, „გამქრალი ოცნებები“).

XIX საუკუნის ბოლოს და XX საუკუნის დასაწყისში ქურდებს

პოლიტპატიმრებს უპირისპირებდნენ. საბჭოთა იმპერიამ ეს წესი გადმოიღო და იყენებდა კიდევაც. XX საუკუნის 20-იან წლებში ქურდების დიდი დაჯგუფებები შეიქმნა, რადგანაც სსრ კავშირი საერთო-სახალხო სახელმწიფოდ გამოცხადდა, კონსტიტუციის მიხედვით, ბურჟუაზიული სახელმწიფოებისგან განსხვავებით, საზოგადოებრივი საკუთრება გამოცხადდა პრიორიტეტულად. ვინც მას ხელყოფდა, ხალხის მტრად ცხადდებოდა და კანონით მკაცრად ისჯებოდა ვიდრე პირადი ქონების ქურდობა.

თითქოს საბჭოეთში პოლიტიკური პატიმრები არ უნდა ყოფილიყვნენ, მაგრამ ასე არ მოხდა. ე.წ. სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში ბოლშევიკებმა წამოაყენეს თეზისი, თითქოს ამ პერიოდში კლასობრივი ბრძოლა უფრო მწვავდებოდა. ამ თეზისით შეიარაღებული კომინისტები დროდადრო რეპრესიებს მიმართვავდნენ. სრულიად უდანაშაულო ადამიანთა წინააღმდეგ და „გულაგებში“ გზავნიდნენ, როგორც პოლიტპატიმრებს. იქ კი რეპრესირებულებსა და ქურდებს შორის ზოგჯერ შეთანხმება ხდებოდა. ეს პროცესი ჭაბუა ამირეჯიბმა კარგად ასახა „გორა მბორგალში“.

ქართული ქურდული სამყარო ერთ-ერთი მრავალრიცხოვანი იყო მთელს საბჭოეთში. მის გაძლიერებას ხელი შეუწყო 1941-45 წლის ომმა, როდესაც გაჭირვებამ აპოგეას მიაღწია. ციხეები ქურდებით გაივსო. ომის დამთავრების შემდეგ, მდგომარეობა თანდათანობით გამოსწორდა, მაგრამ კანონიერი ქურდების რიცხვი ნაკლებად შემცირდა. მათი ავტორიტეტი უზომოდ გაიზარდა. მისაბაძი მაგალითი გახდნენ. დიდი პათოსით სვამდნენ მათ სადღეგრძელოებს. იღებდნენ ფილმებს, კომპოზიტორები წერდნენ სიმღერებს: გავიხსენოთ კინოფილმ „განაჩენიდან“ სიმღერა „ასეთია ქურდი კაცის ბედი, ფათერაკი უკან დასდევს მუდამ“... არც მასმედია იყო გულგრილი. ერთ-ერთი ქართული გაზეთი წერდა, რომ რუსეთის ქურდების დიდი ავტორიტეტი „იაპონჩიკი“ თურმე „ვეფხისტყაოსანს“ კითხულობდა. მწერალმა ნოდარ დუმბაძემ რომანში „თეთრი ბაირაღები“ ქურდები დაუპირისპირა კომუნისტურ საქმოსნებს და ქურდებს მიანიჭა უპირატესობა. მოგვცა მეტად სიმპათიური სახე დევდარიანის (ლიმონა). ვინ ეტყვის ლამაზ ქალს ზეპირად ბესიკის „ტანო ტატანოს“.

90-იან წლებში ქვეყანა ქურდებით გაივსო, ისინი თითქოსდა გაბატონდნენ. მათი ქურდული მენტალიტეტის წარმომადგენელმა ხელისუფლებაშიც მოიკალათა. მაგრამ მდგომარეობა თანდათან გამოსწორდა, მათ პარპაშს ბოლო მოუღო კანონმა ე.წ. „კანონიერი ქურდების“ შესახებ. მათი როლი და ავტორიტეტი ქვეყანაში საკმაოდ დაკნინდა და უმეტესობა იძულებული გახდა საზღვარგარეთ წასულიყო, სადაც სიმდიდრეც ბევრია და მოსაპარიც.

კლიმენტი სუთიაშვილი

- მეწარმე ქალები -

ნანა ქიმერიძე: ძალისხმევა, დიდი შრომა, მონდომება და სიყვარულია ის ფორმულა, რომელსაც ვიყენებთ ჩვენს საქმეში

ჩვენი გაზეთის ერთ-ერთი მხარდამჭერია იმ მეწარმე ქალების, რომლებიც ჩვენს მუნიციპალიტეტს წარმოადგენენ. იდეით დაიწყეს, გამოცდილება დააგროვეს და დღეს საკუთარი საქმე აქვთ. ნანა ქიმერიძე ნახევარფაბრიკატების საწარმო „ქიმერიონის“ დამფუძნებელია. იდეა მამას ეკუთვნის, განხორციელება ოჯახმა იკისრა და არ არსებობს საქმე, წარმოების პროცესიდან, დისტრიბუციის ჩათვლით, ნანა რომ არ აკეთებდეს. რვა სახეობის ნახევარფაბრიკატებს ამზადებს და სამცხე ჯავახეთში და ჭიათურაში მიწოდებასაც თვითონვე უზრუნველყოფს. მაგალითია, იმ ქალებისთვის, ვისთვისაც თავისი საქმის დაწყების შიში აქვს, გამოცდილების არქონა აშინებთ.

ნანა ქიმერიძე-მეწარმე

- რვა წლის უკან, მამაჩემმა შემოგვთავაზა, ნახევარფაბრიკატების წარმოება დაგვეწყო. მხოლოდ იდეა და სურვილი გვქონდა, არც ბაზარს ვიცნობდით, არც გამოცდილება გვქონდა. ერთად დავიწყეთ ამ საქმის კეთება, ოჯახით ჩავერთეთ, მე, მამა, დედა და ჩემი და. ძალიან მალე, დაახლოებით ერთ კვირაში, უკვე ორი დამხმარეც ავიყვანეთ.

<u>- დასაწყისი რომ გაიხსენო, რითი დაიწყეთ?</u>

- თავდაპირველად ინვენტარის შეძენით დავიწყეთ, ცომის დანადგარები მამამ ააწყო თავისი ხელით. პელმენი, ქაბაბი, ხინკალი, ტოლმა და ბლინი გავაკეთეთ, მოვსინჯეთ, გაამართლა და უკვე ქსელშიც გავედით, სხვა რაოდენობით და შეთავაზებით. როგორც აღვნიშნე, გამოცდილება, ფაქტობრივად, არ გვქონია, ერთჯერადად მივედით სხვა საწარმოში, შევათვალიერეთ წარმოების პროცესი და დავიწყეთ წარმოება. დანარჩენი უკვე მუშაობის პროცესმა და გამოცდილებამ მოიტანა. ყველაფერი საკუთარი ძალებით და ფინანსებით გავაკეთეთ, ბუნებრივია, ერთიანად არ მომხდარა ეს ყველაფერი და ეტაპობრივად მოვედით აქამდე.

<u>- რა იყო შემდეგი ნაბიჯები? ემოცია, თუ გახსოვს, როდესაც პირველი შეკვეთა მიიღეთ?</u>

- თავიდანვე ახალციხის და საჩხერის მიმართულებით ავიღეთ ორიენტირი, ხაშურის ბაზარზეც შევედით. თავიდან, საცდელად, რამდენიმე შეკვრას ვტოვებდით, ეცნობოდნენ, მოწონდათ, გვიკავშირდებოდნენ და აკეთებდნენ შეკვეთებს. ნელ-ნელა გაგვიცნო და მიგვიღო მომხმარებელმა. როცა პირველმა მაღაზიამ მოგვცა შეკვეთა, მივხვდით, რომ არ უნდა გავჩერებულიყავით და ასე მოვდივართ, უკვე რვა წელია.

<u>- საწარმო თქვენივე ეზოში გაქვთ, რაც უფრო ოჯახურს ხდის თქვენ წარმოებას.</u>

- გაფართოება, დიდ თანხებთანაა დაკავშირებული. პირველ ეტაპზე, ერთი ოთახი გამოვყავით სახლში წარმოებისთვის, მოთხოვნილების გაზრდამ, უფრო დიდი სივრცის აუცილებლობა დააყენა დღის წესრიგში. რეალიზაციის გაზრდის შემდეგ, ისევ ჩვენს საკუთარ ეზოში, ავაშენეთ უფრო დიდი შენობა და შესაბამისად, საჭირო ინვენტარი და ტექნიკაც შევიძინეთ.

<u>- რამდენი ადამიანი გყავთ დასაქმებული?</u>

- ერთი კვირის შემდეგ, ორი ადამიანი დავამატე. რეალიზაციის გაზრდის შემდეგ, შვიდი ადამიანი ვიყავით დასაქმებული, ჩემი ჩათვლით. ამ ეტაპზე, ოთხი დამხმარე მყავს, რომლებიც რეგულარულად არიან დასაქმებული. პრობლემა და სირთულე, რაც იყო, როცა მაღაზიებში გვინდოდა ჩვენი პროდუქციის შეტანა, გვთხოვდნენ მაცივრებს, რისი შესაძლებლობაც არ გვქონდა, ეს იყო მიზეზი, რის გამოც, ვერ გავედით უფრო დიდ წარმოებაზე და მასშტაბებზე.

<u>- რამდენი სახის ნაწარმს აწარმოებთ, როგორია მომხმარებლის აზრი „ქიმერიონის“ ნახევარფაბრიკატებზე?</u>

- თავიდანვე ძალიან დიდი მოწონება დაიმსახურა ჩვენმა ნაწარმმა, გემოები, სტრუქტურა, ფასი, ყველაფერი გემრიელი და მისაღები აღმოჩნდა მომხმარებლისთვის. დღეისთვის რვა სახის ნაწარმი გვაქვს: ქაბაბი, ხინკალი, კოტლეტი, პელმენი, ტოლმა, გუფთა, ბლინი და კუპატი. სოსისის წარმოებაც გვინდოდა, ვცადეთ, გემრიელი გამოვიდა, თუმცა, აქ ისევ ფინანსებთან მივდივართ და ვერ გავუშვით წარმოებაში, რადგან დამატებით ტექნიკურ ინვენტარს საჭიროებდა მისი დამზადება.

<u>- როგორც ვიცი, ხაშურის მაღაზიებში არაა თქვენი პროდუქცია, გარკვეული მიზეზების გამო და ორიენტირი სხვა რეგიონებზე გააკეთეთ...</u>

- სამცხე ჯავახეთი და ჭიათურა. სამეგრელოშიც ვახდენდით რეალიზებას. დისტრიბუციას მამა ახდენს, ერთი წლის განმავლობაში, დისტრიბუტორიც მე ვიყავი.

წარმოების და ყველა ის პროცესი, რასაც გავდივართ, ძალიან დიდ ფიზიკურ შრომას მოითხოვს, არაა მარტივი ქალისთვის.

<u>- როგორ საუბარში ახსენე, მოთხოვნილება ბაზარზე ნამდვილადაა, თუმცა მიწოდებას ვერ ახორციელებთ, რადგან ამ ეტაპზე გაფართოების პრობლემაა, ისევ და ისევ ფინსნების არ ქონის გამო.</u>

- მართალია, ჩვენი ფინანსებით დავიწყეთ, მაგრამ იმდენად დიდია თითოეული დაზგის ღირებულება, ამას ჩვენი შესაძლებლობებით ვერ ვწვდებით. ამის გარდა, იმდენი ინვენტარია, დეტალები, ძალიან რთულია შენი შესაძლებლობებით გაწვდე. „ჰასპიც“ დავნერგეთ, რაც დიდ თანხებთან იყო დაკავშირებული. ის, რომ „ჰასპის“ მოთხოვნები დააკმაყოფილო, ძალიან რთულია და სხვა სტანდარტებს მოითხოვს. ეს გვიშლის ხელს, უფრო გავძლიერდეთ.

ფინანსური შესაძლებლობა რომ იყოს და გაფართოება შეგვეძლოს, ბაზარზე ნამდვილადაა მოთხოვნილება ჩვენს ნაწარმზე და რეალიზება არ გაგვიჭირდებოდა. ფასებიც ძალიან მისაღებია მომხმარებლისთვის, რადგან ოჯახის წევრებიც ვმუშაობთ, ეს გვაძლევს შესაძლებლობას, რომ ფასები სტაბილური დავტოვოთ.

<u>- თავიდან რომ იწყებდეთ ბიზნესის კეთებას, წახვიდოდით ისევ ამ გზით?</u>

-აუცილებლად. ძალიან მინიმალურით დავიწყეთ და რვა წელში არაა ცოტა, ის, რაც შევქმენით. მიუხედავად იმის, რომ ძალიან შრომატევადია, მაინც ვფიქრობ, რომ ჩვენმა არჩევანმა გაამართლა. ძალისხმევა, დიდი შრომა, მონდომება და სიყვარულია ის ფორმულა, რომელსაც ვიყენებთ ჩვენ საქმეში და მიხარია, რომ ამ მცირე წარმოების პირობებშიც კი, მომხმარებლის კმაყოფილება და ნდობა გვაქვს. ჩვენც, ჩენი მხრივ, ვთავაზობთ ისეთ ნაწარმს, რასაც საკუთარი ოჯახისთვის, შვილებისთვის ვამზადებთ და მოვიხმართ.

თ. ჯავახიშვილი

ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობის მეორე ეტაპი ჩქარა დასრულდება

ხაშურში, ზემო სერის ტყე-პარკის მშენებლობა მიმდინარეობს. სულ მალე დასრულდება სამუშაოების მეორე ეტაპი და დაიწყება მესამე ეტაპი. დღეს სამუშაოების მიმდინარეობა მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა მერიის წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

პროექტს, ადგილობრივი მუნიციპალიტეტისა და რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდი ერთობლივად აფინანსებს.

პირველი ეტაპის სამუშაოების ღირებულებამ 803 897 ლარი შეადგინა, ხოლო მეორე ეტაპის სამუშაოების ღირებულება 1 158 885 ლარია.

„სამუშაოების პირველი ეტაპის ფარგლებში, მოეწყო გარე განათებები, ფანჩატურები, სარბენი და ველო ბილიკები, დამონტაჟდა სხვადასხვა ტიპის დასასვენებელი სკამები, მაგიდები და ნარჩენებისთვის განკუთვნილი ურნები. მეორე ეტაპის მშენებლობის ფარგლებში მიმდინარეობს ამფითეატრისა და სკეიტბორდის მოედნის მშენებლობა, შესასვლელი ტერიტორია და ბილიკებს შორის არსებული სივრცეები გავალამაზეთ დოლომიტის დეკორატიული თეთრი ქვებით, პარკის შესასვლელში მოეწყო სველი წერტილი. მესამე ეტაპის ფარგლებში, მოვაწყობთ კალათბურთის, ჩოგბურთის და ფეხბურთის მოედნებს, დამონტაჟდება გარე გამოყენების ტრენაჟორები და რაც მთავარია, იქნება სივრცე ხელმოწერის ცერემონიებისთვის. დაირგვება უამრავი მწვანე ნარგავი, რაც მეტ ხიბლს შემატებს აქაურობას“- აღნიშნა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერმა თენგიზ ჩიტიაშვილმა სამუშაოების დათვალიერებისას.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი და გაზეთის რედაქტორი გიორგი გოგალაძე, მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში.